ქალაქ ბოლნისში, სააკაძის ქუჩა #1-ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისათვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

04 მარტი 2022 წელი

ქ. ბოლნისი

სხდომას ესწრებოდნენ:

ვალენტინა ნავერიანი – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

კონსტანტინე კორძაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი;

პაპუნა მუშკუდიანი – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

თამარ ჩაკვეტაძე - სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი;

ნინო ელიკაშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:

იროდი უგრეხელიძე – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი;

გიორგი მათეშვილი - სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

ქალაქ ბოლნისში, სააკაძის ქუჩა #1-ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებისა დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ.

განიხილეს:

ქალაქ ბოლნისში, სააკაძის ქუჩა #1-ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვისათვის მომზადებული სატენდერო დოკუმენტაცია. რის შედეგადაც:

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია 2022 წლის 04 მარტის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1 -ის დანართის პირობების/მოთხოვნების გათვალისწინებით.
2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად -- ზემოთაღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად/გათვალისწინებით -- განისაზღვროს 272000 ლარი, დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უკვე განხორციელებული ანალოგიური შესყიდვების გამოცდილებისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციის ანალიზის (სადაც დასტურდება ბაზარზე საკმარისი (არა ერთი და ორი) პირის ოპერირება) შესაბამისად -- კონკრეტულ შესყიდვაში პრეტენდენტის გამოცდილებად მოთხოვნილ იქნას/განისაზღვროს ოქმის დანართის 2,2,1 მუხლში ასახული მოთხოვნები.
4. "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ჰ4" ქვეპუნქტის შესაბამისად, სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯად განისაზღვროს **2720 ლარი.**
5. "ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს/ჩატარდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე, აბრევიატურით NAT.
6. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს მოახდინოს ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე, ელექტრონული ტენდერის განცხადების განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ოქმისა და ოქმის დანართში ასახული პირობების/მოთხოვნების გათვალისწინებით.

კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ნავერიანი/

კომისიის წევრი: /კ. კორძაძე/

კომისიის წევრი: /ჰ. მუშკუდიანი/

კომისიის წევრი: /თ. ჩაკვეტაძე/

აპარატის წევრი: /ნ. ელიკაშვილი/